სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

38655068165212

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120870822

რეგისტრაციის თარიღი

17.08.2012 წ

ნოტარიუსი: ნუნუ გინტური
მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
ტელეფონი: 2935425

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათასთორმეტი წლის ჩვიდმეტ აგვისტოს, მე, ნოტარიუს **ნ. გინტურს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართა ქალბატონმა **ეკატერინე გაჩეჩილაძემ**. მან განაცხადა, რომ **აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში** (რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახდო ინსპექციის მიერ 2006 წლის 13 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო №202358625, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №117) დირექტორს ბატონ **მაჰირ მამმედოვს** სურს ბატონ **ვასილ ქობულიასათვის** უფლებამოსილების მინიჭება და ამისათვის სათანადო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება და მოითხოვა, რომ სანოტარო მოქმედება შემესრულებინა შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. №56-ში – აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში** ოფისში. **ეკატერინე გაჩეჩილაძემ** განაცხადა, რომ **მაჰირ მამმედოვი** არ ფლობს ქართულ ენას და წარმოადგინა მის მიერ არჩეული თარჯიმანი ქალბატონი **მარინა ლებედევა.** მე წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ ჩემს სანოტარო ბიუროში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შევადგინე მინდობილობა, რაც წარვუდგინე შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. №56-ში მაჰირ მამმედოვს** (დაბადებული 20.08.1962 წ. ბაქოში, მცხ. ქ. ბაქო, ნახიჩევანის ქ. №79/18, პასპორტი №P4883149, გაცემული: 03.11.2011წ. აზერბაიჯანის შსს-ს მიერ) და **მარინა ლებედევას** (დაბადებული 04.07.1957 წელს თბილისში, პირადი №01033003200, პ/მ №დ 0412382, გაც. 20.12.2003 წელს თბილისის ჩუღურეთის შს რაიგანყოფილების მიერ, მცხ. ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №10) და წაეცნობა მას. მე შევამოწმე **მაჰირ მამმედოვის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში“**, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან განაცხადის ნომერი: 265046, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11039032, ამონაწერის მომზადების თარიღი: 14/03/2011 15:15:54, საიდენტიფიკაციო კოდი: 202358625. მე დავადგინე ის ფაქტი, რომ **მაჰირ მამმედოვი** ფლობს **რუსულ ენას**. მე გავაფრთხილე თარჯიმანი **მარინა ლებედევა**, რომ იგი პასუხისმგებელია თარგმანის სიზუსტეზე. თარჯიმანმა **მარინა ლებედევამ** დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის **რუსული ენა** და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე **მაჰირ მამმედოვის** ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. **მაჰირ მამმედოვი** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას: **სანოტარო მოქმედება შევასრულე მისამართზე: ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. №56-ში.**

მინდობილობა

ორიათასთორმეტი წლის ჩვიდმეტი აგვისტო. **აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში** (რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახდო ინსპექციის მიერ 2006 წლის 13 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო №202358625, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №117) დირექტორმა ბატონმა **მაჰირ მამმედოვმა** (დაბადებული 20.08.1962 წ. ბაქოში, მცხ. ქ. ბაქო, ნახიჩევანის ქ. №79/18, პასპორტი №P4883149,

გაცემული: 03.11.2011წ. აზერბაიჯანის შსს-ს მიერ), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მიმნდობი“, **ვასილ ქობულიას** (დაბ: 11.12.1950 წელს, პირადი №01024000970), რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მინდობილი პირი“, საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: "მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას “მიმნდობის“ ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობებში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურსა და სხვადასხვა მერიის დაქვემდებარებაში არსებულ დეპარტამენტებსა თუ სამსახურებში, გამგეობებში და სხვა შესაბამის დაწესებულებებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ცნობები, ამონაწერი და სხვა დოკუმენტაცია, დაარეგისტრიროს ისინი მარეგისტრირებელ ორგანოებში და ხელზე მიიღოს დარეგისტრირებული დოკუმენტაცია. ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად “მინდობილი პირი“ უფლებამოსილია მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც უკავშირდება აღნიშნულ დავალებას.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია აღნიშნული დავალების სრულ შესრულებამდე.

წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს“ ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. „მიმნდობმა“ მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია **ოთხ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. გინტურის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მინდობილ პირს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, ოცი (20) ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 34-ე მუხლის II ნაწილისა სანოტარო მოქმედების სანოტარო ბიუროს შენობის გარეთ შესრულებისათვის, აგრეთვე ღღგ: ხუთი (5) ლარი და ორმოცი (40) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ოცდაჩვიდმეტი (37) ლარი და ორმოცი (40) თეთრი.

მიმნდობი: _____

თარჯიმანი: _____

ნოტარიუსი: _____ / ნ. გინტური /

საქართველო. ნოტარიუსი ნ. გინტური * GEORGIA. NOTARY N. GINTURI * ნოტარიუსი: 56001002121